

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების და ინჟინერიის სკოლის შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა აცხადებს ვაკანსიას მოწვეული ლექტორის პოზიციაზე შემდეგი მიმართულებით - **HVAC პროექტირება**.

კურსი მოიცავს Revit პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას HVAC პროექტირების კურსის ფარგლებში. კანდიდატს მოეთხოვება შეასწავლოს HVAC პროექტირება Revit პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით და პროექტირების მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით

სამუშაოს ძირითადი მოთხოვნები:

- კურსის სილაბუსის შემუშავება/კორექტირება;
- სილაბუსით გათვალისწინებული დავალებებისა და სხვა აქტივობების მომზადება და გასწორება.
- BSE პროგრამის ფარგლებში საინჟინრო გრაფიკის კურსის კონტენტის შემუშავება და ხარისხის უზრუნველყოფა.
- შენობის სისტემების ინჟინერიის (BSE) პროგრამის ფარგლებში შეიმუშაოს/განაახლოს “HVAC პროექტირების“ კურსი და უზრუნველყოს მისი ხარისხიანი სწავლება.
- დიზაინის მაგალითებისა და ინსტრუქციების მართვა Revit პროგრამულ უზრუნველყოფაში, შენობების გათბობის, ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემებზე ფოკუსირებული და სტუდენტების დიზაინის უნარის განვითარება (კონცეპტუალური დონე) BSE საინჟინრო გრაფიკის ბაკალავრიატის კურსზე.
- წარმართოს კურსი საერთაშორისო სტანდარტების (მაგ. ASHRAE) გათვალისწინებით და Revit პროგრამის გამოყენებით. მაღალ დონეზე განავითაროს სტუდენტების უნარები HVAC პროექტირებაში.
- Revit პროგრამული უზრუნველყოფის უფრო მოწინავე დიზაინის შესაძლებლობების ახსნა და დემონსტრირება, მათ შორის Building Information Modeling (BIM).
- ხელმძღვანელობა ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის დიზაინის პროექტების კონცეფციაში
- მეცადინეობები უნდა ჩატარდეს კვირაში 2 ან 3-ჯერ, და მოიცავდეს 2 საათიან სესიას დიზაინის თეორიაში და 2 საათიან პრაქტიკულ მუშაობას კომპიუტერულ კლასებში.

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.
- გამოცდილება **HVAC პროექტირების** მიმართულებით.

ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სასურველია ლექციების ჩატარების გამოცდილება;
- კარგი და სწრაფი კომუნიკაციის უნარი;
- ენერგიული;
- დისციპლინირებული;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

საჭირო დოკუმენტაცია:

CV და საგნის სილაბუსი;

საბუთების მიღების ბოლო ვადა არის 2024 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება დოკუმენტაციის მიხედვით, მეორე ეტაპზე დაინიშნება საჩვენებელი ლექცია (დაკავშირება მოხდება მხოლოდ წარმატებულ კანდიდატებთან).

წერილის სათაურში აუცილებლად მიუთითეთ პოზიციის დასახელება „მოწვეული ლექტორი“ და შესაბამისი საგნის დასახელება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვებ-გვერდი - www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი - vacancy@freeuni.edu.ge